

ქობულეთში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა

გარემოს დაცვის, მშენებლობისა და არქიტექტურის თანამედროვე პრობლემებზე დღეს ქობულეთში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენცია ცნობილი ქართველი აკადემიკოსის ცოტნე მირცხულავას ხსოვნას ეძღვნება და მასში ქართველი და სომეხი დოქტორანტები, მაგისტრანტები და პროფესორები მონაწილეობენ.

ისინი ოთხი დღის განმავლობაში წარმოადგენენ სტატიებს მსოფლიო კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირებასა და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

ასევე საუბარი შეეხება მშენებლობისა და არქიტექტურის მსოფლიო მიღწევების ფონზე არსებული პრობლემების და მათი გადაწყვეტის გზებს, რომელსაც სომხური დელეგაცია წარმოადგენს.

კონფერენციის დასასრულს მონაწილეები რეკომენდაციის სახით ერთობლივ რეზოლუციას მიიღებენ, რომელიც საქართველოს და სომხეთის მთავრობებს გადაეგზავნებათ. კონფერენცია 22 აგვისტოს დასრულდება



ქობულეთში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა